საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/6506
25/12/2025

6506-01-2-202512251752

ფეისბუქ გვერდის „დილსი.dilsi“
წარმომადგენელს ნათია სიჭინავას (პ/ნ 48001025609)

მის: ჩხოროწყუ, სოფ. ლესიჭინე, 56-ე ქუჩა N7
ელ.ფოსტა: natiasichi000@gmail.com
ტელეფონი: 558 758 070

ქალბატონო ნათია,

გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 19 ნოემბრის №04/1350 ბრძანებით, „მოქალაქე [illegible] განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე“ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - ნათია სიჭინავას (პ/ნ 48001025609) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

„საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

აღნიშნულის საფუძველზე, სააგენტომ 2025 წლის 19 ნოემბრის №04/1350 ბრძანებით დაწყებულ საქმის წარმოებაში ჩართო მოქალაქე [illegible] 2025 წლის 22 დეკემბრის №01/7933 განცხადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია მოქალაქე [illegible] 2025 წლის 22 დეკემბრის №01/7933 განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

დანართი: „33“ ფურცელი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1350
19.11.2025

ბრძანება

1350-01-4-202511191250

მოქალაქე **განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. მოქალაქე 2025 წლის 6 ნოემბრის №01/6795 განცხადების საფუძველზე, დაიწყოს საქმის შესწავლა მოვაჭრის ფიზიკური პირის ნათია სიჭინავას (პ/ნ 48001025609) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 17 ნოემბრის №03/1656 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე